# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 186 შაბათი, 22 აგვისტო 1909 წ. № 186

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბრუნდება მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

### სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

გადავიდა ახალ ბინაზე: **საპიორის ქუჩა**, სახლი ყულენტისა, № 18.

მასწავლებელთა სია: (ფორტეპიანოზედ,) **კნ. ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა-ბერგისა** და **ე. ვ. ფოგელისა.** (ვიოლინოზედ,) **ა. ნ. ყარაშვილი,** (სამუსიკო ელემენტარული თეორია, 1 და 2 კურსი ჰარმონიისა, ენციკლოპედია და ხოროს კლასსები) **ზაქ. პ. ფალიაშვილი,** (ნოტების კითხვა) **გ. ი. ნატრაძე.**

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25-დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 ს.-დან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე. (4—6.—3)

---

ექიმ ვ. ღამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе.(0—34)

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყების ქვეშე მყოფი 7 კლასიანი 1 ხარისხის კერძო სასწავლებელი

### ლევანდოვსკებისა

ტფილისი, ანასტასიას ქ. N 14, ტელეფ. N 804.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოწაფეთა საზაფხულო მუშაობის შემოწმება 1-დან 5 სექტემბრამდე.

მიიღებიან ბავშვები საზაფხულო ბაღში, მოსამზადებელ განყოფილებებში, 1, 2 და 3 კლასებში 15 აგვისტოდან ყოველ დღე, დილით 10—2 ს. საღამოთი 5—6 ს.

ახლად მისაბარებელ მოწაფეთა გამოცდა მოხდება 2 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე. (3—ნასკ.—1)

---

**ექიმი** ქ. თ. ტუეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნა, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—43)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ... N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

...ავადმყოფებს მიიღებს ხონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით ...—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—47)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., 4, სახლი ჯაჯაშვილისა. (უ)

**ექიმი** ბ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—14)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყდრდანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 141)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ი. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით ...—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ... ქუჩა. სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—231)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

ახლად გახსნილი
ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**პ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—138)

---

ქ. ქუთაისში.
თ. მთავრიშვილის წიგნის

### მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „ბუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—10)


## ტფილისი, 22 აგვისტო

საერობო წინასწარ თათბირის პირველ სექციის გადაწყვეტილება ერობის ტიპის შესახებ თან და თან მეტ უკმაყოფილებას იწვევს როგორც თათბირის მონაწილეთა შორის, ისე საზოგადოებაშიაც. როგორც მკითხველებმა იციან, სექციის დადგენილებაა—შემოღებულ იქმნას რაიონული ერობა, შემდეგ საგუბერნიო. ამ დადგენილების თანახმად, მცირე კომისიამ ტფილისის გუბერნია 31 რაიონად დაჰყო და ამგვარად ჩვენს გუბერნიაში 31 საერობო ერთეული უნდა დაწესდეს სამაზრო ერობის კომპეტენციით, შედგენილებით და სახით... აი ეს გადაწყვეტილება იწვევს თან და თან ოპოზიციას და ბევრი იმ აზრისაც არის, რომ ხელ-ახლავ გადასინჯულ იქმნას საკითხი.

ბ. ირ. გულისაშვილი „ზაკავკაზიე"-ში ძალიანა სჯავრობს და ირწმუნება—ასეთი გადასინჯვა ერთხელვე მიღებულ დადგენილებისა ყოვლად შეუძლებელიაო; მაგრამ არც ასეთი შეუდრეკელი ფორმალიზმი გვესმის ისეთ საკითხში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის. წარმოიდგინოს ბ. გულისაშვილმა, რომ სექცია შესცდა და ეს შეცდომა დაკანონდა. მერე ხომ ძალიან ძნელი იქნება მისი გასწორება? არა სჯობს, საქმე ერთის ან ორის კვირით ეხლავ შეგვიანდეს, ვიდრე მერე, როცა პროექტი სხვა ინსტანციებში წავა?..

ხოლო სექციის დადგენილება რომ აჩქარებული და შემცდარია, ამის საბუთი ბევრია. ჩვენ მკითხველთ ახსოვთ, ალბათ, ჩვენი აზრი ამ საგანზე, მაგრამ მოკლედ მაინც გავახსენებთ, რადგან საკითხი დიდმნიშვნელოვანია და რადგან ეხლა ჩვენს შეხედულებასა და საბუთებს სხვებიც იმეორებენ. იქნება ბოლოს სექციის უმეტესობაც დაფიქრდეს და გაჰბედოს საკითხის გადასინჯვა...

ორმოცი წლის პრაქტიკამ შიდა რუსეთის ერობისამ დაამტკიცა, რომ საერობო დაწესებულება ხალხისაგან დაშორებულია, რომ სამაზრო და საგუბერნიო ერობანი ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცნენ, რომელთა სვე ბედში მასსას წილი არ უდევს, რომელნიც დიდ ტერიტორიას და მრავალ მცხოვრებთა ადგილობრივ საჭიროებათ ვერ უძღვებიან ისე, როგორც ეს საჭიროა. მაშინ დაიბადა აზრი მცირე საერობო ერთეულის გაჩენისა. მთელი მნიშვნელობა ამ ერთეულისა იმაშია, რომ ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი მცირე ტერიტორიაზე, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივ სამეურნეო და საკულტურო საქმეების რიგიანად წაყვანაში, პირდაპირს მონაწილეობას ღებულობდენ თვითმართველობის ცხოვრებაში. ამ მცირე ერთეულის ბუნება, ხასიათი, მნიშვნელობა სულ სხვაა: იგი დამოუკიდებელი, თავისუფალი, სახალხო, საყოველთაო დაწესებულებაა, რომელიც მცირე ტერიტორიაზე პატარა მასშტაბში ასრულებს ყველა იმ საქმეებს, რომელიც მთელის ერობის კომპეტენცია არის. ამ ერთეულის მართვა-გამგეობაც სულ სხვაა, ვიდრე უფროს ერთეულებისა. მაშინ როდესაც უკანასკნელებში მთავარი ღერძი საერობო გამგეობაა, ხოლო საერობო კრება უფრო კონტროლის, ზედამხედველობის აღმასრულებელია, მცირე ერთეულში მთავარი ღერძი თითონ ხალხია, ხალხის ყრილობა, რომელიც ირკვევს ყველა თავის საჭიროებათ და პოჰყავს სისრულეში თავისავე საშუალებით. ამიტომაც ლიტერატურაში მცირე საერობო ერთეული წარმოდგენილი აქვთ ვოლოსტში ან სოფლის საზოგადოებაში, რომელიც უკვე არის ბუნებრივი სათვითმართველობო ერთეული. ასეთი ერთეულის შენობა რთული არაა და ხალხისაგან დიდ ხარჯს არ მოითხოვს მის აღმასრულებელ ორგანოთა შენახვა. რასაკვირველია, ეს ორგანოები სრულიად თავისუფალი უნდა იყვნენ საპოლიციო მოვალეობის აღსრულებისაგან; რასაკვირველია მცირე ერთეული **უწოდებრივო და უცენზო** უნდა იქნეს. ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს დიდ სოფლებში, უკვე არის პროტოტიპი ამგვარ მცირე საერო ერთეულებისა. იქ, დიდი სოფლის საზოგადოებანი, თავის ინიციატივით უკვე ასრულებენ საერობო საქმეებს თავის საზოგადოების ფარგალში, რამდენადაც ამას ხელს არ უშლიან „გარეშე გარემოებანი". დააკანონეთ უწოდებრივო, სავალდებულო, უცენზო თვითმართველობა სოფლის საზოგადოებისა, გაანთავისუფლეთ იგი ადმინისტრაციის ზეგავლენისაგან, დაეხმარეთ უფროს საერობო ერთეულებისაგან საშუალებით, მცოდნე სპეციალისტებით და სხვა, და დაინახავთ, რა ღირსეული გამძღოლი გახდება ხალხი ადგილობრივ საქმეებისა.

სულ სხვა რიგად გადასწყვიტა სექციამ ეს საკითხი. მისი წარმოდგენით, რაიონული ერობა მცირე ერთეულია, ნამდვილად კი რაიონული ერობა იგივე სამაზრო ერობაა ცოტა ნაკლების ტერიტორიისა. მისი შედგენილობა, მისი გამგებლობა, მისი შინაარსი და ხასიათი არაფრით არ განსხვავდება სამაზრო ერობისაგან, იმგვარივე ბიუროკრატიული დაწესებულება იქნება, იმ გვარადვე შორს იქნება ხალხისაგან.

წარმოიდგინეთ ტფილისის გუბერნიაში 30 მაზრა და თქვენ ცხადათ დაინახავთ, რა უხერხულს მდგომარეობაში ჩავარდება ხალხი. თითო სარაიონო ერობის შენახვა დაუჯდება 4000—5000 მანათად; მაშასადამე თითო რაიონს 10—15 ათასი მანათიღა დაურჩება საქმისათვის. ხუთმეტი ათას მანათით საავადმყოფოს და ორიოდე სკოლის შენახვას თუ მოახერხებს, ესეც „დიდი იქნება"; დანარჩენ საქმეებსა და საჭიროებათ რაღა უყოს? სანამ ფინანსიური მდგომარეობა ჩვენის მომავალის ერობისა არ გამოირკვეოდა, თითქმის ყველანი უფრო ადვილად ვუყურებდით რაიონულს ერობის; მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრისა ვიყავით, რომ მაზრიდან ორის მეტი რაიონი არ უნდა გამოიჭრას. ხოლო ეხლა, როცა გამოირკვა, რომ თითოეულ რაიონს 18 ათასი მანათის ბიუჯეტი ექნება დაახლოვებით, როგორღა შეიძლება ამ სხემის დაცვა? განა ერობა იმისთვის გვინდა, რომ საერობო გამგებლობაზე დაიხარჯოს ხალხისაგან შეგროვილი ფულის დიდი ნაწილი?..

ამიტომ ჩვენ ისევ ვიმეორებთ ჩვენს აზრს ერობის შენობის შესახებ და ვურჩევთ სექციას კვლავ გაითვალისწინოს საქმე, კვლავ აწონდაწონოს ყველა საბუთები pro და contra. ჩვენის შეხედულებით, მომავალი ერობა სამ სართულიანი უნდა იქნას: მცირე საერობო ერთეული—სოფლის საზოგადოება, სამაზრო ერობა და საგუბერნიო. თუ რომელიმე მაზრა ერთობ დიდია და თუ მასში მოთავსებულია ორი სრულებით სხვა და სხვა კულტურის და მდგომარეობის ნაწილი, როგორც ბორჩალოს მაზრის შესახებ ამბობენ მაგალითად, ამ შემთხვევაში შეიძლება ეს მაზრა ორ რაიონად გაიყოს; ყოველ შემთხვევაში სჯობია 12—15 მაზრა იქნას, ვიდრე 31!.. თუ იტყვიან, რომ მცირე საერობო ერთეულის მოწყობის საქმე ჯერ რუსეთშიაც გამოურკვეველია, მაშინ სჯობს საიმპერიო საერთო რეფორმას დავუცადოთ (პროექტი მცირე საერობო ერთეულისა ამ ჟამად უკვე მუშავდება რუსეთში), მანამდისკი მარტო სამაზრო და საგუბერნიო ერობათა შემოღებაზე ვიზრუნოთ.


**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (ხემიონოვის ქ. კუთხე, N 3). მეხავალი ხემიონოვის ქ. (100—1010—7)

### ქართველ ქალთა სათავადაზნაურო სკოლის

საანბანო და მოსამზადებელ განყოფილებებში მოწაფეების მისაღები გამოცდა დაიწყება 26-ს აგვისტოს დილის 9 საათზე. (3—6.—1)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილებს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—1)

ნაფიცი ვექილი

### ნიკო ელიავა

გადავიდა ოლგინსკის ქუჩაზე, № 47. (3—416—1)

### იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბასილოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—23)

### მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის სკოლის საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. ფესანახი ფასი პანსიონში, საბჭოს დადგენილებით, წელიწადში არის თორმეტი (120 მ.) თუმანი; ხოლო პირველს წელიწადს პირველი მოსამზადებელი—ორი თუმანი (20 მ.) უფასოდ არავინ არ იქმნება მიღებული არც პანსიონში და არც გარედან მოსიარულე. ვინც უკვე მიღებული იყო ნაკლებ ფასში, თუ არ შემოიტანს ზემო-აღნიშნულ ფასს, თორმეტ თუმანს, დათხოვნილი იქნება პანსიონიდან. გარედან მოსიარულე მოწაფე იხდის სწავლის ფასს წელიწადში 25 მან.

თავმჯდომ. საბჭოსი წინამძღვარი მონასტრისა **მონაზონი ნინო.** (6—415—1)


## დეპეშები

პეტ. ტელ. დეპეშათა სააგენტოსაგან. 21 აგვისტო

### სპარსეთი

**თავრიზი.** თეირან-თავრიზის გზაზე უმოქმედობაა ცარცვა-გლეჯის გამო.

თავრიზში დაბრუნდა 38 ნაციონალისტი, რომელნიც ერთი წლის წინად რახიმ-ხანმა ტყვედ წაიყვანა. რახიმ-ხანმა ისინი განთავისუფლა იმიტომ, რომ რუსის კონსულის მდივანმა ბელიაევმა და სნარსკის ჯარის აფიცრებმა გაანთავისუფლეს ყადალის ათაკარი ქალაქი აგარი. ტყვების განთავისუფლებამ ადერბეიჯანში ყველანი გაახარა. მათ ამბავი მიტანეს, რომ რახიმ ხანმა დააბრუნა 180 აქლემი, რომელნიც თავრიზის ალყის დროს წაართვეს ერევნელ მეაქლემეებს, რუსის ქვეშევრდომებს. ამას გარდა, რუსის ქვეშევრდომთა ზარალის ასანაზღაურებლად რახიმ-ხანმა ბილიევს გადასცა 200.000 ოსმალური ლირა.

**თეირანი.** დღეს თავრიზის მცხოვრებთ ამნისტია გამოეცხადათ.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** 19 აგვისტოს, ნაშუადღევს ორ საათზე, მიტროვიციდან უსკიუბში მიმავალი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაშავდა მატარებლის უფროსი და ორი მოსამსახურე, ერთი მოკვდა. დაიმსხვრა 26 ვაგონი. მისაშველებლად სალონიკიდან მუშებითა და ორი ექიმით მატარებელი წავიდა. მატარებლის გადაცდენის მიზეზი იყო ის, რომ ლიანდაგიდან რელსები აეყარათ,

ბერძნის საქონელს ბოიკოტი მოხსნეს.

**ბერლინი.** დილის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფოთა ჯარი უკვე მიდის კრიტიდან, რადგან აღმასრულებელმა კომიტეტმა სიტყვა მისცა სახელმწიფოებს, საბერძნეთის დროშას აღარ გამოაკიდინებს კანეიაში. ციხე კვლავ კრიტეს ჯარმა დაიჭირა.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, მოლაპარაკება გამართოს სახელმწიფოებთან, რომ გადიდებულ იქმნას შემოსავალი ბაჟი.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** რადიკალური გაზეთი „დაგენსნიჰეტერი", რომელიც წინად მთავრობის შუამავლობას თხოულობდა, ეხლა ურჩევს გაფიცულთ, მოსპონ გაფიცვა, რათა მთავრობას შეძლება მისცეს შუამავლად გამოვიდეს.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** ჰაეროსტატი „ცეპელენ მესამე" უკვე შეაკეთეს. ღამე „ცეპელენ მესამე" ფრიდრიხსჰაფენისკენ გაფრინდა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა ხელმეორედ შეუდგა საფინანსო კანონ-პროექტის განხილვას.

**ტრონგი.** (ონტარიოს შტატი). ცეცხლი წაეკიდა დეპუტატთა პალატის სადგომს. ზარალი ერთ მილიონ მანეთს უდრის.

**ათინა.** ზოგიერთი გაზეთები თხოულობენ, რომ დეპუტატთა პალატის მოწვევა ორი კვირით გადაიდოს. გაზეთების აზრით ეს იმიტომაა საჭირო, რომ მთავრობას შეძლება უნდა მიეცეს, მოემზადოს პარლამენტში გამოსასვლელად. მეფემ მოიწონა ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი საფინანსო და ეკონომიურ რეფორმების შესახებ.

### რუსეთი

**ჩერნიგოვი.** ჩერნიგოვის ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად ხელ-ახლად კრასნოვსკი აირჩია.

ტყეში, სოფელ კარპოვიჩის მახლობლად, ნოვო-ზიბკოვსკის მაზრაში პოლიციამ მოჰკლა ვინმე გავრილენკო. გავრილენკო მონაწილეობას იღებდა სავიცკის ყაჩაღთა ბრბოში. გავრილენკომ საკუთარი ბრბოც მოაწყო. პოლიციასთან შეტაკებისდროს დაიჭირა ერთი დარაჯი.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე პეტერბურგის სამხედრო ციხის უფროსის პოდპოლკოვნიკ ანანიინისა და იმის თანაშემწის კაპიტან კოვალენსკისა, რომელთაც აბრალებდნენ სამსახურის დროს დაუდევრობას, რის შედეგიც იყო სამი ტუსაღის გაქცევა. ტუსაღების ხელმწიფის საწინააღმდეგო მოქმედება ბრალდებოდათ. სასამართლომ გადაუწყვიტა ანანიინს ერთი თვით და ერთი კვირით გაუპტვახტზე დაპატიმრება, ხოლო კოვალენსკის—ერთი თვით.

**ვილნა.** დაბა მოლოდეჩნოში, ვილნოს მაზრაში, დაიწვა 140 სახლი და 300 სხვა შენობა. დაიწვა აგრეთვე „სტანოვოი"-ს სახლი, ხელოსანთა გამგეობის სადგომი და დარაჯების ყაზარმები. დაზარალდა ცეცხლისაგან ფოსტის კანტორა. ზარალი ორასი ათას მანეთზე მეტია.

**პოლტავა.** 18 აგვისტოს სოფელ დემიდოვკაში, კრემენჩუგის მაზრაში, ცენტრალისტის მამულში დაიწვა ეკონომ-

მის გამგის სახლი. ცეცხლისაგან სახლში დაიღუპნენ გამგის დედა, რძალი, მუშა და მოსამსახურე ქალი.

**ვორონეჟი.** სოფელ ბოვეცინოში, დაიწვა 300 სახლი.

**კურსკი.** სოფელ ვისოკოეში, გრაფორონსკის მაზრაში, ცეცხლისაგან დაიწვა სახლი ქონებითა და პურითა. ზარალი დიდია; ცეცხლში მოჰყვა ბავშვი.

**იაროსლავლი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ფაბრიკის საორთქლე ქვაბის აფეთქების შესახებ, რომლის დროს დაიღუპა რამდენიმე კაცი. ფაბრიკის გამგე გაამართლეს, მაშინისტს გადაუწყვიტეს სამი წელიწადი ციხე, ხოლო კოჩეგარს ოთხი თვე.

**სურაჟი.** 19 აგვისტოს, საღამოს ექვსმა ბოროტგანმზრახველმა გასცარცვა ფოსტა. დამცემლებმა მოჰკლეს ორი „გოროდოვოი“ და ერთი უცნობი; დასჭრეს უბნის ზედამხედველი, ერთი „გოროდოვოი“ და მიიმალნენ.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია საქმე წყალ-ქვეშ მავალ ნავის „კამბალის“ დაღუპვის შესახებ. სასამართლომ გაამართლა გემ „როსტისლავის“ უფროსი. საპსაი, ხოლო „კამბალის“ უფროს აკვილინოვს გადაუწყვიტა ექვსი თვით დაპატიმრება და საეკლესიო მონანება.

### ხ ო ლ ე რ ა

**მოსკოვი.** ამ უკანასკნელ დროს ხოლერიანი ავადმყოფი არ აღმოჩენილა.

**რეველი.** კრენგოლმში ხოლერისგან გარდაიცვალა ერთი, გუნგერბურგში სამი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9; საავადმყოფოში 296 კაცია.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჩამოხრჩობა.** 21 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ტფ. საგუბერნიო საპატიმროს ეზოში სისრულეში მოიყვანეს კავკ. სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ილია ჭავჭავაძის მოკვლისთვის ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი ივანე ინაშვილის, გიორგი ხიზანაშვილს და თედო ლაბაურს. ამავე დილით ჩამოახრჩეს იოსებ ფუხაშვილი, რომელსაც ეს სასჯელი ცარცვა-გლეჯისთვის გადაუწყვიტეს.

✦ **სასამართლოში.** კავკ. სამხედრო ოლქის სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ბესარიონ სურმავას და გრიგოლ ბაქრაძეს, ხოლო სიმონ მაისურაძეს—საპყრობილე რვა წლით. ამათ ჰბრალდებათ ნიკოლაიშვილის თორნეზე თავდასხმა, თითონ ნიკოლაიშვილის დაჭრა და 10 მ.ნ. 50 კაპ. გატაცება.

✦ **თავისუფალი ადგილები.** ტფ. ქალაქის სკოლებში ხუთამდე ქართველ მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა. გამგეობამ მრავალი თხოვნა მიიღო. მთხოვნელთაგან კომისიამ 40 სასურველი კანდიდატი ამოარჩია. არჩევანი მალე მოხდება.

✦ **საავადმყოფოს ექიმები.** ტფ. ქალაქის გამგეობამ, როგორც ვიცით გამოიწვია მსურველნი არამიანცის სახელობის საავადმყოფოს უფროს ექიმის თანამდებობაზე. გამგეობამ მრავალი განცხადება მიიღო. გუშინ მიიღო განცხადება პროფესორ სოლოვიოვისაგანაც, რომელიც თხოულობს უფროსს ექიმის თანამდებობას.

✦ **საქმის მეორედ გარჩევა.** მთავარ სამხედრო სასამართლოს განუხილავს სამხედრო პროკურორის პროტესტი აბდულ-ალი-რუსტამის საქმის განაჩენის გამო. აბდულ-ალი რუსტამს ბაქოს სამხედრო სასამართლომ ნავთის-მწარმოებლის როლსკის გატაცებისათვის გადაუწყვიტა კატორღა რვა წლით. მთავარმა სასამართლომ დაადგინა, საქმე ხელახლა იქნას განხილული.

✦ **სტიპენდიების განაწილება.** წ.-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 20 აგვისტოს სხდომა მოანდომა ზუბალაშვილის ორი სტიპენდიის დანიშვნას. როგორც აღვნიშნეთ, 200 კაცმა ითხოვა სტიპენდია. აქედან გამგეობამ ამოარჩია უფრო სასურველი კანდიდატები. არჩეულ კანდიდატებს გამგეობამ კენჭი უყარა და სტიპენდია ერგო ორს კაცს ტომსკის პოლიტეხნიკუმის სტუდენტს (სვანი) ტარასი ნიჟარაძეს და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის სტუდენტს—შოთო დადიანს.

✦ **ახალი გაზეთი.** ქ-ნ დარია ხრამელაშვილმა განცხადება შეიტანა გუბერნატორთან, ნება დაერთოს გამოსცეს ყოველ დღიური პატარა გაზეთი ქართულს ენაზე სახელად „სახალხო გაზეთი“. გაზეთი ჯერ დღე გამოშვებით გამოვა, მომავალ წლიდანკი ყოველ დღე. გაზეთი 2 კაპ. ეღირება.

✦ **ერობის შესახებ.** 20 აგვისტოს მოხდა სხდომა ერობის შესახებ პირველ ლექციისა, თავ. გ. მ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის წინადადებით სექცია შეუდგა ბ-ნ აბელოვის მოხსენების განხილვას კავკასიის წყალთა ოლქის მდგომარეობის შესახებ. წინა სხდომებზე სექციას თათბირი ჰქონდა სარწყავ წყლების საქმეთა შესახებ. რადგან სექციისათვის უცნობი აღმოჩნდა ეს საკითხი, აბელოვს დაავალეს მოხსენების შედგენა. ბ-ნმა აბელოვმა დამსწრეთ გააცნო ადმინისტრატიული მოწყობილობა წყალთა უწყებისა. კავკასიის წყალთა ოლქს განაგებს ინსპექტორი თავის სამართველოთი. მთელი კავკასია 9 ნაწილად და 94 ოლქად არის გაყოფილი. თვითოეულ ნაწილის უფროსად ინჟინერ-გიდრავლიკოსია. ცენტრალურ სამართველოზე ყოველ წლობით მთავრობა ხარჯავს 50,000 მან. რაც შეეხება მერაბების შენახვას, წყალთა საოლქო საბჭოს წევრთა და სხვა ხარჯებს, ამას ეწევიან ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც განსაზღვრულ გადასახადს იხდიან. მთავრობა არც არხების გაყვანასა და არც სხვა საქმეებზე ფულს არა ხარჯავს, გარდა თავის მოხელეების შენახვისა. ტფ. გუბერნია შედის პირველ და მეორე წყალთა ნაწილში. საზოგადოდ სარწყავ წყლის სარგებლობის საქმე ცუდად არის მოწყობილი. ინჟინერ-გიდრავლიკოსი თავის რაიონს არ იცნობს და არც სცდილობს გამოარკვიოს, სად არის საჭირო წყალი და სად არა. გიდრავლიკოსები, რომელნიც კარგ ჯამაგირს იღებენ, სამ წელიწადში ერთხელ თუ დაათვალიერებენ თავიანთ ნაწილს. ასევე იქცევიან მერაბები და ხალხის მიერ არჩეული სხვა მოხელენი. ისინი მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე, როცა ჯამაგირის მოკრების დრო დადგება. კახეთი დღემდე არ შედის კავკასიის წყალთა ოლქში. ყველა ამ მიზეზის შედეგია, რომ ეს საქმე ძალიან ცუდად არის მოწყობილი. წყალთა ინსპექცია მაგდენად თავს არ იტკივებს. ამ ბოლო დროს, მთავრობის წინადადებით, იგი მუღანის მორწყვის საქმეს შეუდგა. სარწყავ არხებისათვის მუღანში წელს მთავრობამ გადასდო 100,000 მან., ხოლო მომავალ 1910 წლისათვის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია 210,000 მან. მომხსენებლის აზრით, რადგან მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში, ეს საქმე უნდა გადაეცეს ერობას, მით უმეტეს რომ ხარჯს ამ საქმის მოსაწყობად ხალხი იხდისო. განიხილეს ის, თუ წყალთა ოლქის მმართველის რომელი ფუნქციები შეიძლება ერობას გადაეცეს. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა გადაიდო, რადგან ბ-ნმა აბელოვმა მოხსენება უნდა შეავსოს.

✦ **ზარალი სეტყვისაგან.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, თელავის მაზრისთვის სეტყვას წელს 76,065 მანეთის ზარალი მიუყენებია.

✦ **მომრიგებელი მოსამართლე.** ტფ. ოლქის სასამართლოს ახალ-ქალაქის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა ჟვანია.

✦ **სოფლის ექიმების გაგზავნა საზღვარ-გარედ და უნივერსიტეტში.** კავკასიის სამკურნალო გამგეობას აზრადა აქვს დრო-გამოშვებით სოფლის ექიმები ჰგზავნოს ხოლმე საზღვარ-გარედ ან რუსეთის უნივერსიტეტში. გაგზავნილ ექიმს ხაზინიდან. ჯამაგირს გარდა, ფულად შემწეობაც მიეცემა (ტ. ლ.)

✦ **საიდუმლო კანტროლი.** პირველ სექტემბერს პეტერბურგიდან ჰგზავნიან თურმე ამიერ კავკასიის რკინის გზაზე საიდუმლო კანტრალიორებს. ეს კანტრალიორები მატარებლებზე საიდუმლოდ ივლიან და ყოველ გვარ კანტროლს გასწევენ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სამეურნეო პოლიციის აგენტებს, ყურადღება მიაქციონ, რომ მცხოვრებნი სავალდებულო დადგენილებას იცავდნენ.

✦ „კასპ“.ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: კსენდზმა ანტონოვმა უარი განაცხადა „პოლონელების სახლის“ კურთხევაზე. თავის უარს ანტონოვი იმით ასაბუთებს, რომ პოლონელები გულცივად ექცევიან ეკლესიასა და სარწმუნოებასაო.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც მთიულებში გასავრცელებლად წიგნები შემოგვწირეს. შემომწირველთა სია: იაკობ გოგებაშვილი—20 „დედა-ენა“, მარიამ ალექსანდრეს ასული კეზელისა—20 რვეული და 12 ყარანდაში, პოლკოვნიკი თავ. გ. თარხნიშვილი 30 რვეული, პარმენ ჯავროვი—25 ყარანდაში. ვთხოვ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ. ან. კაპანაძე.“

✦ ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ნ. ე. არღუთინსკის ტფ. საკრედიტო საზოგადოებისაგან საჯარო ვაჭრობის დროს 7200 მან. შეუძენია მამადავითისა და ოვრაგის ქუჩაზე სახლის ნანგრევი ახმადოვისეული. ეს ადგილი ქალაქს სჭირდება სკოლის შენობისათვის. რადგან ამ ადგილის და მასალის შესაძენად დავალება არა ჰქონია ქალაქის გამგეობას, მან უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა, იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რონ აღნიშნულ ადგილის შესაძენად 7200 მანეთი გადასდოს.

✦ პოლიცაამ მდ. ვერის პირად ოც აგვისტოს დააპატიმრა ნიკოლოზ აფრიდონიძე და სამსონ კიკავა, რომელთაც თავ. ბებუთოვის ბაღიდან ხილი მოუპარავთ. 20 აგვისტოს ტფ. მც. ნინო ქაჯიროვსა (20 წლისას) და იმის ძმას იაკობს (18 წლ.) ჩხუბი მოსვლიათ. ამას ისე აუღელვებია ქალი, რომ კარბოლის სამჟავე დაულევია. მოწამლული საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამავე დღეს დააპატიმრეს ელიზბარ ნიკოლაიშვილი, რომელსაც მანჯიანცისათვის ფული მოუპარავს.

✦ ამ ხუთი თვის წინად დიღუბისა და ნაძალადევის სომეხ-გრიგორიანებმა ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვეს, დაეთმოს მათ ნაძალადევის შუა გულში საეკლესიო ადგილი, ხოლო ნაძალადევს მახლობლად მიწა სასოფლოსათვის. ეს თხოვნა ცნობების შესაკრებად გადაცემული ჰქონია მეათე ნაწილს სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ხარაზიანცს, მაგრამ მას დავალება დღემდე არ შეუსრულებია. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, ხარაზიანცს შენიშვნა გამოუცხადოს.

✦ 20 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა გარსო არუთინოვი და ნიკოლოზ ხუგოლიანცი, რომელთაც მუსა ალიევ-აპაგოვს გიგო არუთინოვის დუქანში, ვორონცოვის ქუჩაზე, 200 მანეთი წაართვეს.

## მოწერილი ამბები

**დ. სურამი.** 15 მარიამობისთვეს სოფ. იტრიაში, რომელიც სურამზეა მიბმული, დღეობა სცოდნიათ. ჯერ კიდევ 14-დან იწყო ურმებისა და ქვეითა მლოცველთა დენა. ამინდი ხელს უწყობდა და ღამის სათევად ბლომა ხალხი ქუჩდებოდა. დღეობა, ღამისთევა ჩვენში დღევანდლამდის ერთად-ერთი საშუალებაა ნახო შენი ახალი და შორეული ნათესავი, სასურველი ნაცნობი და მეგობარი. დასავლეთ საქართველოში დღეობა-ჯვარობის გარდა, დიდი ხანია შემოღებულია ბაზრობა, სადაც თითქმის მთელი გუბერნიის ხალხი იკრიბება და თავის საოჯახო საქმეებს აწყობს, ჰყიდის და ყიდულობს, ინახულებს ნაცნობ-ნათესავთ და მოკეთეთ. რადგან აღმოსავლეთ საქართველოში არსადაა ამისთანა ბაზრობა, ამიტომ საეკლესიო დღეობა ბაზრობის მაგიერობას ეწევა. ვის ლოცვა-კურთხევა უნდოდა, ეკლესიას არა შორდება, ვისაც ყიდვა-გაყიდვა, დაბაზრ-დუქნებს, ვისაც კიდევ ნაცნობ-ნათესავთა ნახვა-მოლხენა, ისინი იტანჯებიან მინდორ-ველებზე და მხიარულად ატარებენ ამ ერთ დღე ღამეს, ისვენებენ მთელი წლის შრომის შემდეგ.

იტრიაში ძველად ნაშენები ეკლესია სდგას. ეკლესია გეგმით ჩვენ ქალაქის ანჩისხატის ტაძარსა ჰგავს. კედლები შიგნით-გარედან თეთრად არის გალესილი, თუმცა ვფიქრობ, რომ როგორც ბევრ სხვა ეკლესიის მხატვრობა დამალულია თეთრ ქვიშ კირით, ისეც აქ არის ჩვენი მამების დაუდევრობის გამო. ეკლესიაში ფეხის შედგმისათანავე მომესმა რუსული „იაკო ც ვოე“. გამიკვირდა და იქვე მდგომთ ვკითხე: მღვდლის ვინაობა. მითხრეს ქართველიაო. მაშინ ფიქრს მივეც თავი, ერ-

# ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

(შემდეგი*)

„ჩანგის“ მეათე ნომერში რაჟდენიძე არჩევს იმ საშუალებებს, რომელნიც მე მიმაჩნია ეროვნების აღსადგენად, მაგრამ, ღმერთმა იცის, რაებსა სჩმახავს. ვერც ეს ჩემი საშუალებანი გაუგია და არც თავისი ესმის-რა,—ყოველ სტრიქონში ეწინააღმდეგება თავისივე თავს. ეს იმიტომ, რომ მთელი მისი ნაჯღაბნი მართლაც მისი ნააზრი და ნაფიქრი კი არ არის, არამედ ამოწერილი და განაგონთა რახუნია. უპირველეს ყოვლისა იგი განსაზღვრავს ეროვნებასა და ამბობს: „ეროვნების მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ენა, ტერიტორია და ეროვნული კულტურა, ე. ი. ქონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური განვითარების მთლიანობა. ამ სამ პირობებში (!), ცხადია, პირველი ადგილი უჭირავს კულტურულ ურთი-ერთობას, პირველი ორი კი მისი იარაღია, საშვალებაა. სადაც კულტურული განვითარება არ არსებობს, სადაც ხალხის ნაწილები სოციალ-ეკონომიურის ცხოვრების პირობებით არაა ერთმანეთზედ გადაბმული, იქ არ არსებობს ერთი ენა, ტერიტორიაც დაყოფილია, არ არსებობს ერი. სანამ მისი ცალკე ნაწილები, მისი შემადგენელი ეთნოგრაფიული ჯგუფები ცალ-ცალკე საკუთარ ძალ-ღონით იკმაყოფილებენ. თავის მოთხოვნილებებს, და ასე კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებენ, ერი, როგორც მთლიანი საზოგადოებრივობა, არ არსებობს. იგი მხოლოდ ეტნოგრაფიულად მონათესავე ჯგუფთა კრებულია, ერთი ტომია, მარა არაა ეროვნება ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ეროვნება სდგება ამ ჯგუფებისაგან, ამ ცალკე ხალხებისაგან, როგორც მასალისაგან, როგორც გაპნეულ (!) ელემენტებისაგან, მათი ერთმანეთზედ გადაჯაჭვით (!), ერთი მეორესთან ეკონომიურად დაკავშირებით“.

ეს გადაღეჭილი და ათი-ათასჯერ განმეორებული თეორია ეროვნებისა იმიტომ მოჰყავს ბ-ნ რაჟდენიძეს, რომ დაამტკიცოს, კაპიტალიზმი ჰქმნის ეროვნებასაო. მიზანი კი მისი მსჯელობისა იმის დამტკიცებაა, ვითომც ჩემი აზრი ქართულ ეროვნების განვითარებისათვის კაპიტალიზმის საჭიროებაზე შემცდარი იყოს. რასაკვირველია, საცოდავია ამ მსჯელობის დროს მისი გონება. ერთის მხრით თეორია, რომლის უარ-ყოფაც მას არ შეუძლიან ორი მიზეზით: ერთი იმიტომ, რომ მარქსიზმიც აღიარებს ამ თეორიას, მეორე იმიტომ, რომ რაჟდენიძეს სად შეუძლიან საზოგადოდ თეორიათა კრიტიკა,—თეორია, რომლის ძალითაც თანამედროვე ეროვნება კაპიტალიზმის ნაყოფია,—მეორეს მხრით უეჭველი ფაქტი ჩვენში განვითარებულ ქართულ კაპიტალიზმის არ არსებობისა. ჩემი აზრი კი უსათუოდ უნდა დაარღვიოს,—ეს მისი საწადელია,—და ამ წინააღმდეგობიდან თავისებურად იძვრენს თავს, მაგრამ სწორედ თავისებურად, ისე უხეიროდ, რომ მთელი ტანი და ფეხები თავის მიერვე დაგებულ მახეში რჩება: იგი პირდაპირ აღიარებს—ჩვენში ქართული ეროვნება უცხო კაპიტალიზმმა შექმნა, მომავალშიაც იგი განავითარებს მას, შემდეგ კი ამ სხვის კაპიტალიზმის შედეგებით ჩვენი მუშა ხალხი ისარგებლებს და განმტკიცდება ქართულ ეროვნების ბედნიერება, რასაკვირველია, უცხოელებთან ერთადო! თუ რა ღირებულებისაა ასეთი გულ უბრყვილო მსჯელობა, როგორის სასწაულით შექმნა ჩვენი ეროვნება უცხო კაპიტალიზმმა, ან შეჰქმნის თუ არა მას, ამაზედ ქვემოდ ვილაპარაკოთ, ეხლა კი ცოტა ყურადღება ეროვნების ამ გადაღეჭილ თეორიას მივაქციოთ.

იგი ორი ნაწილისაგან შესდგება: ერთი — განსაზღვრაა ეროვნებისა, მეორე—წარმოშობა თანამედროვე ეროვნებისა. განსაზღვრა მისი, მეტადრე რაჟდენიძის განსაზღვრა, სრულიად ყალბია. არ შეიძლება რომ ვსთქვათ,—ეროვნების მთავარი დამახასიათებელი მხარე ენა, ტერიტორია და ეროვნული კულტურა არის, პირველი ადგილი უჭირავს კულტურულ ურთი-ერთობას, პირველი ორი კი მისი იარაღიაო. ჯერ ერთი,—ეროვნებას დაახასიათებს ეროვნული რამ—ეს განსაზღვრა კი არ არის, არამედ უარყოფა განსაზღვრისა. მერე—კულტურა ბუნდოვანი სიტყვაა, მისი შინაარსის განუსაზღვრელად ხმარება ვერაფერს ვერ შეჰმატებს განსაზღვრას. აუცილებელია „კულტურის“ გაყოფა მის შემადგენელ მარტივ და ნათელ, გარკვეულ ცნებებად. ამ ანალიზის შემდეგ ენა და მწერლობა უსათუოდ კულტურის შემადგენელი ნაწილნი იქნებიან. მესამე,—ენა, როგორც ნაწილი კულტურისა, მისი იარაღი კი არ არის, მისი რთული არსების შემადგენელი ორგანიული ნაწილია. მეოთხე—ტერიტორია უკანასკნელი კი არა, უმთავრესი საფუძველია ერის ცხოვრებისა, განვითარებისა, „კულტურისა“. ორი უმთავრესი ელემენტი, თუ გნებავთ, პასსიური და აქტიური, ყოველ საზოგადოებისა—ტერიტორია და ხალხია. არც ერთი ხალხი არ განვითარებულა ერად უტერიტორიოდ, არც ერთ ხალხს გარეშე ტერიტორიისა არ შეუქმნია კულტურა და ისტორია. რაჟდენიძე კი ფრაზებს ისე ისვრის, თითქოს პასუხისმგებელი არ იყოს თავისავე სიტყვათა წინაშე—ენა და ტერიტორია უკანასკნელია, კულტურული ურთი-ერთობა კი პირველიო! გაურკვეველი აბსურდია!..

ეროვნების თეორიათა შემადგენელნი ბევრნი იყვნენ: ლიტრე, ჟაკმენი, როლანი, რენანი და სხვანი საფრანგეთში; ბრინტონი, კანი, ფრიმენი და სხვანი—ინგლისში; ბლუნჩლი, რომერი, აგრეთვე ფიხტე, ჰეგელი და სხვანი—გერმანიაში; ნისი, ლაველე—ბელგიაში; ცნობილი და სახელოვანი ძველი ვიკო, მანჩინი და სხვანი—იტალიაში. რამდენი განსაზღვრაც მათ შეუტანიათ მეცნიერებაში, ჩვენ ამას არ გამოვუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმეს. ბლუნჩლისათვის ერი წარმოსდგა სხვა და სხვა ძალთა მოქმედებისაგან, რომელიც განმსჭვალავდა ხალხთა მასსებს საერთო ინტერესებით საერთო სულითა და საერთო ჩვეულებით. სარწმუნოება, რომლის გავლენაც ცვალებადი იყო ხოლმე, ენა, ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, პოლიტიკური ერთობა,—აი, რა ჰქმნის ერსაო. მანჩინისათვის ერი არის კაცთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელსაც აქვს ერთობა ტერიტორიისა, წარმოშობისა, ზნე-ჩვეულებისა, ენისა, სარწმუნოებისა იმდენად, რამდენადაც არსებობს საერთო სოციალური შეგნება და სოციალური ცხოვრება. როლანისათვის სამშობლო არ არის უბრალო სიტყვა, ეს ის არსია, რომელსაც დიდი მსხვერპლი შესწირეს, რომელიც აღიმართება ხოლმე დიდ საფრთხეთა დროსა, და რომელიც უყვარსთ იმდენად, რამდენადაც იგი ღირს და რამდენადაც მისი იმედი აქვთ. რენანისათვის ერი სულიერი პრინციპია, შედეგი ისტორიის ღრმა ვითარებათა, სულიერი ოჯახი; იგი საერთო მფლობელობაა მემკვიდრეობით გარდმოცემულ მდიდარ მოგონებათა; როგორც ინდივიდი, იგი ალსრულებაა შორეულ, წარსულ შრომათა, მსხვერპლთა და თავგანწირულებათა.

ბევრი იყო ისეთი, როგორც, მაგალითად, ბლუნჩლი, რომელსაც ერი ვერ წარმოედგინა სახელმწიფოს გარეშე; ბევრიც ისეთი, როგორც მანჩინი და რენანი, რომელთათვისაც ერი ინდივიდი იყო, სოციალური არსი, დამოუკიდებლად სახელმწიფოსა. ამათ შორისაც იყო ყოველთვის დავა, რა უნდა ყოფილიყოს საგანი საერთაშორისო სამართლისა,—ერი თუ სახელმწიფო. მანჩინი და სხვანი ერის მომხრენი იყვნენ, ბლუნჩლი და იმის წინად ტიერიც, რასაკვირველია, სახელმწიფოსი. დღეს ჩვენ ვიცით, რომ საუბედუროდ, სახელმწიფოა და არა ერი საერთაშორისო სამართლის საგანი. ყოველი ჩაგრული ერი კი იმის მსურველია, რომ ერი იყოს საგანი ამ საერთაშორისო სამართლისა, ამასთანავე ყოველი ჩვენი მსგავსი „ნაციონალისტი“,—ს.-დ-ები კი ტიერის მსგავსად მომხრენი არიან სახელმწიფოთა-შორისო სამართლისა!.

მაგრამ მათი ასეთი შეხედულება ახალი ამბავი არ არის.

ჩვენთვის კი ერი კიდევ სხვა რამ მოვლენაა, ვიდრე უბრალო კულტურული ერთობა და ენისა და ტერიტორიის მქონე ეთნიურ ჯგუფთა კრებული. ჩვენთვის ერი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, არის კონკრეტული სოციალური ორგანიზმი. ერის განსაზღვრის დროს სოციალური საზომი უნდა ვიხმაროთ; განვსაზღვრავთ რა საზოგადოებას განყენებულად და შევიგნებთ რა განყენებულადვე საზოგადოებას,—ერი იქნება ერთი მისი კონკრეტულ განხორციელებათაგანი. ჩვენი აზრით თვით საზოგადოება არის ორგანიზმი, რომლის ნაწილთა შორისაც უურთულესი ფსიხიური კავშირნი არსებობენ; ამ კავშირთა გამოჩენა გარეგნული არის გარეგნულად მოწესრიგება ადამიანთა საერთო ცხოვრებისა, თვით საზოგადოებრივობა. ერი არის კონკრეტული განხორციელება ასეთის საზოგადოებრივობისა. საერთო ტერიტორია,—ეს საფუძველია, რომელზედაც იბადება და ვითარდება ეს რთული სუპერორგანიზმი. ენა,—უპირველესი გარეგნული მოწესრიგებაა ადამიანთა საერთო ცხოვრებისა, ურომლისოდაც არავითარი კავშირი არ შეიძლება საერთო ცხოვრების მრავალფეროვან მოქმედებათა და მისწრაფებათა აღსასრულებლად. დანარჩენი სოციალური მოვლენანი,—სარწმუნოება, სამართალი, ხელოვნება, ეკონომიკა, ზნე-ჩვეულობა, პოლიტიკა — ამ საერთო მოწესრიგების ნიადაგზე, საერთო ორგანიულ სოციალურ ცხოვრების სფერაში იბადებიან და ვითარდებიან, და ისე არიან ჩაქსოვილნი ადამიანთა სულსა და გულში,—ერთობ იგინი ჰქმნიან ისეთ სუპერორგანიზმს, რომლის დაშლაც მხოლოდ პირობათა ათასგვარსა და ხანგრძლივ გამანადგურებელ სისტემას შეუძლია, და ვერავითარი წინააღმდეგობა კლასსთა, ჯგუფთა, იდეათა, იდეალთა და სხვათა, რომელიც ამ სოციალურ ორგანიზმში იბადება და სწარმოებს, ვერ დაღუპავს ერს,—პირიქით, უმეტეს ნაწილად იგი მისი განვითარების თავდებია, თუ გადამეტებულმა გარეგანმა და შინაგანმა ულმობელმა პირობებმა არ ალგავეს იგი პირისაგან მიწისა.

ერი — უმაღლესი სოციალური არსია, რომელსაც აქვს თვით-შეგნება, გრძნობა სიცოცხლის აზრისა,

*) იხ. „დროება“, N 184.

[illegible]

...რუსულ ენაზე და ამიტომ ქართულად ადგიხდითო. ეხლა ალბათ წიგნები უთვნია.

ღამის თევა მშვიდობიანი და წყნარი იყო. ლხინი და თამაში გამართეს, მაგრამ არ ისმოდა ჩვეულებრივი დაირის და გარმონის ხმა. თამაშობდნენ ლოსა და დუდუკზე, თუ ვინმე მოქეიფე ამას მოინდომებდა თავის თავის მესაქცევად. მოსულ ქალებს თან უნდა მოეტანათ დაირა და გარმონი, როგორც ყველავ უქნიათ და მაშინ მათ ლხინს და თამაშს უფრო მეტი სიმხიარულე, მეტი სიცოცხლე ექნებოდა, თორემ წამ და უწყვეტ ლოლის დაჩუმება აღონებდა სათამაშოდ მოკოპწიავებულ ლამაზ და ულფერიან აქაურ ქალებს. უნდა გამოვტყდე ორიოდ გასათხოვარ ქალს მეტად უტეობდა ფერუმარილის ხმარება, რაც მათ სილამაზეს აგლეჯდა და არაფერს კი არა ჰმატებდა.

მეორე დღეს წირვაზედ ნამდვილი დომხალი მოუმზადებინა ჩვენ სულიერ მამას. ქართულ-რუსულ კვერეკსებით და სამღლებლებით ხალხს თითქოს იმას ეუბნებოდა—უყურეთ როგორ თავისუფლად ვიცი ორივე ენაო. მგალობლებად იყვნენ ადგილობრივ კომანდის სალდათები. თუკი სალდათები ბარტნიანსკის „იჟე ხერუვიმი“ს მოახერხებენ, მამაო, თქვენ რაღას აკეთებთ, რატომ არ შეგიძლიანთ ამ დღეობისთვის ამოდენა მიდეთის ხალხს გააგონოთ ქარ-

...დეს. ცოტა დასვენების შემდეგ ისევ გამოვიდნენ და ერთმანეთს იღლიებში შეუცვივდნენ. დაოჯეს ერთმანეთი, მაგრამ ვერც ერთმა, ვერც მეორემ ვერ წააქცია, მოსჭეს გოჯური და ჩაავლეს კალთა კალთა. ღონით გადატრიალება ვერცერთმა ვერ მოახერხა და გააშვეს. შემდეგ იჭიდავა სხვა წყვილმა, რომელთაგანაც ერთს შიგნითი სარმა ჰცოდნიყო, ჩაუკლიტა ერთხელ, გადასწია, მაგრამ მოპირდაპირე მაგრა დაუხვდა და ორივენი გვერდზე დაეცნენ. წამოხტნენ, ეცნენ მეორეთ. მოსარმემ ისევ ჰკრა სარმა, ხელები მოპირდაპირეს მარცხენა შარვლის ტოტში ჩაავლო და გადაიტანა შარჯვნივ, მაგრამ გადატანილმა ნამდვილი ფრანგულ ჭიდაობის ხიდი გაუკეთა, ბეჭები არ დაჰკარა მიწას, ღონით სჯობნიდა მოსარმეს და ის იყო უნდა გადაეტრიალებინა და იქნება ქვეშაც ამოედო, რომ წაესწვივნენ და გააშველეს. წაქცეული უკმაყოფილოდ დარჩა, აგრეთვე ბევრი მაყურებელი. ითხოვეს მეორედ დაჭიდება, მოჭიდავენიც უბრულს იყვნენ, მაგრამ გაშვეთ აღარ გაუშვეს.

ბოლოს იჭიდავეს მოკიდებით. პირველ ჩავლებაზე ყველას ეგონა, რომ წვერ-ულვაშ ამწვანებული ჭაბუკი გამოვიდოდა გამარჯვებული, მაგრამ ვინც პირტიტველას იცნობდა, ძალიან ეჭვობდა და გაიძახოდა—უყურეთ, როგორ კლაპტარივით დაარჭობს. სა-

...ვით ქართულ-რუსული დომხალი იყო. ჯერ ითამაშეს ქართულად „მე უნდა გნეინა გავხდე“. მომეტებული ნაწილი მოთამაშეთა კარგად თამაშობდა, თუმცა ზოგიერთის კოჭლობისა გამო წარმოდგენამ მთლად კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მსმენელებზე, თუ კი შეიძლებოდა კაცს განეცადა ეს შთაბეჭდილება. ხმაურობა, ზეზე წამოდგომა, უდიდესი შლიაპები ქალებისა სმენასაც და მხედველობასაც უსპობდა დამსწრეთ. როდის იქნება პროვინციებში კარგად მოეწყოს წარმოდგენები, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლოთ მიეცეთ სმენითაც ყველაფერი გაიგონონ და თვალითაც ყველაფერი დაინახონ. დაღლოცვილი ქალაქში მცხოვრებნი ვგონებ ტყუილად შედიან ამისთანა წარმოდგენაზე. არშიყობენ, ჩურჩულებენ, იცინიან, ტოკავენ და გულმოდგინე მსმენელთ მოთმინებას ულევენ. ამისთანა წარმოდგენის ნახვის შემდეგ, უოველი ხალისი და სურვილი მოესპობა ხამებს, პირველად შესულებს წარმოდგენაზე. იმათ ეგონებათ თეატრი სწორედ ხოჯის აბანოს უნდა წარმოადგენდესო და ქვას შიაგდებენ საუკუნოდ. ამიტომ სასურველია, გაშვეთ მეტი ყურადღება მიაქციონ ხოლმე წეს-რიგს წარმოდგენების დროს პროვინციებში.

**არა სურამელი.**

---

**ბათუმი.** ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ბათუმის თვით-მმართველობის დარბაზში მოხდა საგანგებო კრება ბათუმის მო-

[illegible]

# ურწმუნო მატერიალისტები

ამას წინად ერთ ახალგაზდა კაცთან ბაასის დროს ჩემს სიცოცხლეში მეათასჯერ მოვისმინე შემდეგი შეკითხვა: „ერთი მიბრძანეთ, სად რა გააკეთა ზნეობის ქადაგებამ? მაგალითად, ჩამომითვალეთ რამდენი თანამგრძნობი და მიმდევარი ჰყავს თქვენ მასწავლებელს, ზნეობის მოქადაგე მწერალს ლევ ტოლსტოისამ?“

სწორე მოგახსენოთ, ამგვარ შეკითხვის ავტორები, თუმცა ყველანი მარქსისტები არ გახლავან, საერთოდ კი ეკონომიური მატერიალისტები არიან. მათთვის მხოლოდ იმ მოვლენას აქვს მნიშვნელობა, რომელიც ხორც შესხმულია და ნათლად სდგას მათ თვალთა წინაშე, თვალსაჩინო სხეულით, მატერიით არის მოსილი.

— როგორ უნდა გიპასუხოთ თქვენ შეკითხვაზე,—მიუგე ჩემ ახალგაზდა მოსაუბრეს:—ავიღოთ, მაგალითად მთელ მსოფლიოში ცნობილი, მრავალ ენაზე თარგმნილი ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკკენსი. ისიც რომ უმაღლესის ნიჭით მოსილ, ღრმა საგულისხმიერო კაცთ-მოყვარე მოქადაგედ ჩაითვლება. იგი რასაკვირველია, არა ჰგავს იმ საეკლესიო მოძღვრებს, რომელთაც თავიანთ უსიცოცხლო ქადაგებით ნამდვილ მოქადაგედ სახელი გაუტეხეს და თვით სიტყვა „ქადაგება“ შეგვაძულეს. დიკკენსი თავის ცოცხალ ნაწერებში, თავის მოთხრობებსა და რომანებში საზოგადოების, ხალხის ცხოვრებას აგვიწერს, დიად ქალაქ ლონდონის ყველა მიხვეულმოხვეულებში გვატარებს, გვაცნობს როგორც მდიდართა, ისე ღარიბთა ცხოვრებას და ამ ცხოვრების უმთავრეს ჩარხებს; მგრძნობიერე, ალტაცებულის გულით თავს ევლება კაცთა შორის არსებულ თანაგრძნობას, საურთიერთო დახმარებას, სიყვარულს, სადაც ყველა ეს თავს იჩენს საზოგადოების, ხალხის ცხოვრებაში. დიკკენსი პირდაპირ არაფერს არ გვიქადაგებს, არ გვასწავლის, მყრალი და მკვდარი სიტყვიერების შეწყობით, კარგად, ფაქიზად იცხოვრეთ, კეთილი ცხოვრების გზას დაადექით, ცოდვილნო და უბადრუკნო ძმანო ჩემნოო. იგი თვით ცხოვრების ვითარებას იკვლევს უანგაროდ, თავ-განწირულად და გვაჩვენებს მხატვრულად და გულის ამაჩუყებლად, როგორ გაჰკვერს ხოლმე ათასნაირად გადახლართულ ცხოვრების შავ-ბნელ ჭირ-ვარამს აქა იქ სიყვარულის სხივი, შეჰხარის ამ სხივს მთელის თავის არსებით, მთელის თავის ნაზ, მგრძნობიერე გულით და იმავე წმინდა, სანეტარო გრძნობას ულვიძებს თავის მკითხველს. დიკკენსი მოქადაგეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მშრალი, სახელგატეხილი და გაბათილებული სიტყვა არ აბათილებს კაცთა შეწყალებით ალსავსე, გაუტეხელ, წმინდა გრძნობით მჩქეფარე მწერლის გულს. დიკკენსის ნაწერები ცოცხალ რწმენას ულვიძებს და უმტკიცებს ადამიანს, იმის სულსა და გულს უანგარო კაცთ-მოყვარების შუქსა ჰფენს.

მოდით ახლა და ჩემ ახალგაზდა მოსაუბრისათვის პასუხის გასაცემად სცადეთ და დაუმტკიცეთ, თუ სად რა გააკეთა ამ დიკკენსმა, რამდენ ადამიანს რა ღირსების გრძნობა და ფიქრი აღუძრა, რა ახალი ჭეშმარიტება შეაგნებინა. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მთელ დედამიწის ზურგზე მოფენილ მზის სხივების შეკრება და მზის შუქის სიმხურვალის დასამტკიცებლად ერთ დიდ კონად შეკვრა.

აქ მხოლოდ ერთი გზაა ჭეშმარიტების დასამტკიცებლად: თუ დიკკენსმა ან ტოლსტოიმ რამე „გაგიკეთეს“ შენ, მათი ნაწერების მკითხველ ადამიანს, რამე ახალი და ნათელი გრძნობა და ფიქრი შეგძინეს, უნდა მტიცედ გჯეროდეს, რომ სწორედ ამგვარი ახალი და ნათელი გრძნობა და ფიქრი შესძინეს იმათ ყველა იმ მკითხველს რომლის ენაზედაც მათი ნაწერებია თარგმნილი და გავრცელებული. უნდა გჯეროდეს, რომ ის ევროპიელი, ამერიკელი, ჩინელი, იაპონელი ან ავსტრალიელი, რომელთაც [illegible] ნაწერებს, [illegible] ბენ, რასაც ჰგრძნობ შენ, დიკკენსის ან ტოლსტოის ქართველი მკითხველი. იმასვე რომ არ ჰგრძნობდნენ, რად სთარგმნიდნენ ისინი სწორედ ამ მწერლების ნაწერებს, რათ გაავრცელებდნენ თავიანთ მემამულეთა შორის?

მოდით ახლა და ჩემ ახალგაზდა მოკამათისთვის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად ერთად თავი მოუყარეთ ქვეყნის კიდით-კიდიდან ამ ევროპიელებს, ამერიკელებს, ჩინელებს, იაპონელებს, ავსტრალიელებს, რათა თვალ-წინ გადუშალონ ამ იჭვიან ადამიანს მათ მიერ სახელგანთქმულ მწერლებისაგან შეძენილი მთელი სიკეთე.

ეკონომიურ მატერიალისტების დიდი ნაკლი—საერთო კაცობრიული ნაკლია: თვითეულ ადამიანს აქვს **ხუთი** გრძნობა—თვალთვა ხედვა, ყნოსვა, ყურთა სმენა, შეხება, გემოვნება და **ერთი** გული. რადგან უმრავლეს შემთხვევაში მატერიალისტის აზროვნებაზე მეტი გავლენა აქვს რიცხვს, რაოდენობას და არა ღირსებას, იმიტომ იგი თავის **ხუთ** გრძნობას უფრო უჯერებს, ვიდრე თავის ერთ გულს. იგი ჰხედავს, ყნოსავს, ყურს უგდებს, ეხება და გემოვნებს, მაგალითად თავის მოაზრეებს, თავის მოძღვრების მიმდევრებს, და იმიტომ სჯერა, რომ ისინი არსებობენ ამ ქვეყნად, რომ იმათ სიკეთე უყო მათ მიერ აღიარებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ და რადგან ვერ ჰხედავს, ვერ ჰყნოსავს, ყურს ვერ უგდებს, ვერ ეხება და ვერ გემოვნებს იმ ევროპიელებს, ამერიკელებს, ჩინელებს, იაპონელებს და ავსტრალიელებს, რომელთაც სიკეთე შესძინა დიკკენსისა და ტოლსტოისთანა მწერლების ნაწერებმა, ამიტომ სჯერა ამ თავის **ხუთი** გრძნობისა და არ სჯერა თავის ერთი გულის მოწმობა იმის შესახებ, რომ ეს გული ერთნაირად გულობს ყველა ტომის ხალხთა საგულეში და ერთნაირად ეწაფება გენიოსთა ნაწერებში მჩქეფარე წმინდა ცხოვრების წყაროს.

**ილია ნაკაშიძე.**

# სპარსეთი

**სპარსეთის კონსტიტუცია მკვიდრია.**

ერთ უცხოელ დიპლომატს, რომელსაც დიდ ხანს უმსახურნია სპარსეთში და თავის თვალით უნახავს სპარსეთის ბოლონდელი ამბები,

---

...აქვს სურვილი საუკუნო ცხოვრებისა, მუდმივი გაუმჯობესებისა, აქვს შეგნება თავის ანდივიდუალობისა, გრძნობა სამართლისა და შეგნება საკუთარ უფლების დაცვისა სხვა ერთა პირის-პირ. იგი გრძნობს, რომ ინდივიდია, სოციალური ინდივიდი სხვა სოციალურ ინდივიდთა შორის. ამიტომაც ყოველივე ერი, განურჩევლად წოდებათა და კლასსთა, მიისწრაფის ამ უფლების დასაცველად, ამიტომაც იგი ჰქმნის სახელმწიფოს,—გარეშე დამცველ ორგანოებს, ამიტომაც შეუძლია მას შეკრას ძმურად, როგორც ინდივიდი, სხვა ერებს, ინტერნაციონალურის კავშირით. და რომ ერთა ინდივიდუალობა არ არსებობდეს,—არ იქნებოდა არც ინტერნაციონალიზმი, რადგან სხვა-და-სხვა თავისუფალ ინდივიდთა შორის შეიძლება მხოლოდ თავისუფალი კავშირი.

განვიმეორებთ, აქ კლასსთა ბრძოლა: სოციალიზმი და პროლეტარული თვალთსაზრისი არაფერს შუაშია, რადგანაც ყოველივე ესე სოციალურ ორგანიზმის შინაგან სტრუქტურის საკითხია, ერის ინდივიდუალურ უფლების დაცვა კი—გარეშე.

აი, რა არის ერი, და, მართალია, სხვა-და-სხვა ისტორიულ ხანაში ამ სუპრაორგანიზმს არა აქვს ერთი და იგივე სიმჭიდროვე ნაწილთა, ერთი და იგივე კოჰეზია, მაგრამ ამით არა მართლდება სრულიად მეორე ნაწილი ზემოთმოყვანილ გადაღეჭილ თეორიისა,—თანამედროვე ერი კაპიტალიზმმა წარმოშვაო. ჯერ ერთი—ერი უკაპიტალიზმოდაც არსებობდა, და ძლიერის კულტურითაც და საერთო სოციალურ მოვლენებითაც.*) ამას ამტკიცებს მთელი ისტორია ევროპის ხალხთა. გერმანია და იტალია კი, სადაც კაპიტალიზმის წინა დროებში არავითარი სახელმწიფოებრივი ერთობა არ იყო, საუკეთესო მაგალითები არიან ერის ერთობისა, სულიერი კოჰეზიისა, მაგრამ საბერძნეთიც ამას არ ამტკიცებს? არა ერთხელ გვილაპარაკნია ამ მხრით საბერძნეთზედ. მიუხედავად იმისა, რომ იგი პატარ-პატარა რესპუბლიკებად იყო დანაწილებული, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქური ცხოვრება იყო გამომხატველი მათი პოლიტიკური ცხოვრებისა, მიუხედავად იმისა, რომ არც მსხვილი კაპიტალი, არც რკინის გზები და ტელეგრაფი ჰქონიათ ბერძნებს, მათ შექმნეს ეროვნული კულტურა, სპეციფიკური ელლინური, უდიდესი კულტურა მთელ დედა-მიწის ზურგზე. საბერძნეთის ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია, ფილოსოფია, ბერძნული ენა, განვითარებული და კელაპტარსავით ჩამოსხმული, ერთი იყო ყველასათვის, კოლონიებისათვისა და მეტროპოლიისათვის,—იგი ეროვნული იყო, მთელი ელლინეთის გენიოსების შემონაქმედი ერთ ცენტრში ამოცენებული, იგი მთელი ერის საუნჯედ ხდებოდა. გარდა ამისა, ბერძნებს ჰქონდათ საერთო ეროვნული შეგნებაც. ეს ეროვნული შეგნება ხელმძღვანელობდა მათ სპარსელებთან ბრძოლაში, მათ ჰქონდათ საყოველთაო ეროვნული დაწესებულებანი, როგორც, მაგალითად ოლიმპიის თამაში, რაიცა ნამდვილი გამოფენა იყო ეროვნულ კულტურულ შემოქმედებისა; მათ ჰქონდათ ამფიოქტიონიები, რაიცა გამომხატველი იყო მათ შორის რელიგიურ და კულტურულ ერთობის, მათ ჰქონდათ „სიმმახიები“,—გამომხატველი პოლიტიკურ ერთობისა; იყო, მაგალითად, შესანიშნავი დელოსის კავშირი, რამაც ათენას მთელ საბერძნეთზედ ჰეგემონიაც მიანიჭა. ბერძნებს მწერლობაშიაც ეტყობათ ცხოველი ეროვნული შეგნება. პლატონი, მიუხედავად იმისა, რომიგი მონურ საზოგადოებაში იყო აღზრდილი, უარ-ჰყოფდა მონობას თავის „რესპუბლიკაში“ ბერძენთა ერისათვის. ეს კიდევ რა,—ბერძენთა შორის ინტერნაციონალიზმის იდეაც არ იყო უცხო. დიოგენი თავის თავს მთელი ქვეყნის მოქალაქედ აცხადებდა.

ბერძენთათვის ქალაქური ცხოვრება მხოლოდ **წესი** იყო სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებისა, „პოლისი“ მათთვის უმაღლესი პოლიტიკური ერთობა იყო, თორემ ერი ბერძნისა არსებობდა, არსებობდა ეროვნულის კულტურით, საერთო ეროვნულის შეგნებითა, საერთო ენით, ფილოსოფიით, ხელოვნებითა და უმაღლესის მშვენიერებით. მათ ყოველ ქვეყნიერებას აჩვენეს მაგალითები თავიანი სწორედ ეროვნულ სიდიადისა, თავისებურობისა და გენიოსობისა არა თუ შინ, კოლონიებშიაც ბერძენი თავის შემოქმედებას მეტროპოლიის მსგავსად აამუშავებდა და თავის ეროვნულ ინდივიდუალობას ატარებდა. ამგვარად შეჰქმნა მან „დიდი საბერძნეთი“ იტალიაში, საბერძნეთი მთელი ხმელთა-შუა ზღვის ნაპირისა, საბერძნეთი კუნძულთა, საბერძნეთი მცირე აზიისა, მაგრამ ჰომეროსი, ჰეზიოდი, ჰეროდოტი, სოკრატი, არისტოტელი, პლატონი, არხიმედი, ფიდიასი, პრაქსიტელი, სოფოკლი და აუარებელნი სხვანი საერთონი იყვნენ ყველა ბერძენთათვის, იგინი საბერძნეთის შვილნი იყვნენ და შემდეგ მართლაც შეიქმნენ მთელი ქვეყნის მოქალაქებად და ეხლაც არიან!

მართალია, საბერძნეთმა ვერც შეჰქმნა და არც უხდოდა შეექმნა გაერთიანებული ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო *), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბერძნის ერი იყო ერი, უუმშვენიერესი მთელ ქვეყანაზე, რომლის დაკარგვაც საუკუნო ცრემლსა გვრის ეხლა მთელს კულტურულ კაცობრიობას. და, ვინ იცის, შეიძლება ასეთი წესი ეროვნულის ცხოვრებისა იყო სწორედ უმთავრესი მიზეზი ბერძნის ერის განვითარების ისეთის სიდიადისა, შეიძლება ბერძნის ერი იმის ნახევარსაც ვერ შეჰქმნიდა, რაც შეჰქმნა, სპარსული ან ასსირიული **ერთობა** რომ ჰქონოდა! და აბა შეადარეთ ეხლანდელი გაერთიანებული საბერძნეთი ძველ საბერძნეთს!..

იტალიაში და გერმანიაში, გ. ქიქოძის თქმისა არ იყოს, სად იყო კაპიტალიზმი, როცა დანტემ კანონი დაუდვა იტალიურ ენასა, სად იყო ერთობა სახელმწიფოებრივი, როცა იბადებოდნენ შესანიშნავი მეცნიერები, არტისტები, ფილოსოფოსები? გალილეი, ტელეზიო, კამპანელლა, რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ჯიორდანო ბრუნო, ლეონარდო-და-ვინჩი და კიდევ უთვალავი დიდებული ადამიანი იტალიისა, როდის დაიბადნენ, როდის წარმოიშვნენ, კაპიტალიზმა წარმოშვა, ერთ სახელმწიფოდ შეერთებამ? განახლება მეცამეტე საუკუნისა და მეთოთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნისა,—როდესაც ორჯელ გამოიხატა იტალიის სწორედ ეროვნულ კულტურის ერთობა და სიდიადე,—კაპიტალიზმმა და საერთო სახელმწიფომ შეჰქმნა, თუ იტალიის ქალაქები და რესპუბლიკები სწორედ ამ დროს ერთმანეთს ეომებოდნენ და ამ ომმაც ვერ შეუშალა ხელი საერთო ეროვნულ კულტურულ განვითარებასა? ან როდესაც გერმანიის ელემენტი ეომებოდა იტალიას, ერთი მითხარით, იტალიის ეროვნული შეგნება არ მუშაობდა, არ იბრძოდა საერთო ეროვნულ კულტურის დასაცველად? მარტო ლომბარდიის ფედერაციებს რაც ომი გაუწევიათ გერმანეთის წინააღმდეგ,—იგია განსაცვიფრებელი. გადაიკითხეთ სისმონდისა და ფერრარის წიგნები ამის შესახებ და გაიგებთ, როგორი იყო იტალიელთა ეროვნული შეგნება და გადურჩებოდა ცოცხალი თუ არა იტალიის ერი გერმანიას, რომ ეს დიადი ბრძოლა არ გაეწია. ხოლო კულტურისა და ენის ერთობას რაც შეეხება, ყველამ იცის, თუ რა დიადი რამ არის იგი და როდის შეიქმნა,—„ერთობის“ წინად თუ შემდეგ.

ასეთივე იყო გერმანიის ცხოვრება. განა ფილოსოფია, მუსიკა, მეცნიერება გერმანიაში თავისუფალ ქალაქებში არ განვითარდნენ და არ გახდნენ მთელი გერმანიის ეროვნულ საუნჯედ? საერთო სახელმწიფო კი ახლა ხან დაარსდა. ეკონომიური ცხოვრება კი, რომელიც იყო გერმანიის დიდ ეროვნულ კულტურის განვითარების დროს, ქალაქური იყო და არა თანამედროვე კაპიტალისტური, როგორც იტალიაში, და ბევრგან სხვაგან.

მეორეს მხრით, ისტორიაში ბევრსა ვხედავთ ისეთ გაერთიანებულ ერებს, რომელთაც დესპოტიური ცენტრალისტური სახელმწიფოები ჰქონიათ, მაგრამ ვერა შეუქმნიათ რა დიადი, ისე ალგვილან პირისაგან მიწისა: სპარსეთი, ასსურეთი და ბაბილონეთი ამისი მაგალითები არიან. ეგვიპტე სწორედ მაშინ დაიღუპა, როცა იქ საერთო ცენტრალიზმი გამეფდა. აგრეთვე დღეს, შეერთებულ შტატებში, მიუხედავად კაპიტალიზმის უმწვერვალეს განვითარებისა, მწერლობა, მაგალითად, ნაკლებად არის განვითარებული. მართალია, თანამედროვე ერების კოჰეზია უფრო ძლიერია, თანამედროვე ერის ცხოვრების ეკონომიური საფუძველი—საერთო, სახელმწიფო ან ეროვნული მეურნეობაა, მართალია, კაპიტალიზმის განვითარებამ ასეთ კოჰეზიას ეროვნულ ორგანიზმისას ხელი შეუწყო, მაგრამ ორი რამ არის უეჭველი ფაქტი: პირველი ის, რომ ერი არსებობდა ამ კოჰეზიამდის, არსებობდა მისი უდიდესი კულტურაც, ენისა და ერთობ კულტურის ერთობაც, შემოქმედებაც, შეგნებაც და ყველაფერი, რაცა ჰქმნის ეროვნებას, არსებობდა ხშირად უმაღლესადაც, ვიდრე ეხლა არის, [illegible] ბობს. ერებს აგრეთვე სიცოცხლეც დაულევიათ უდიდეს განვითარების შემდეგ ისე, რომ არც კაპიტალიზმი ღირსებიათ, არც ეროვნული სახელმწიფო. მეორე,—არა თუ ერზე არ ითქმის, რომ იგი კაპიტალიზმმა შეჰქმნა, არამედ თვით თანამედროვე სახელმწიფოზედაც, რადგან თვით ეს უკანასკნელი ძლიერი ფაქტორი იყო კაპიტალიზმის შექმნისა. კაპიტალიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, განუყოფელია განსაზღვრულ მოწესრიგების ნორმებისაგან, და ხშირად ასეთი ნორმები, სახელმწიფოს ხელში იარაღი იყო და იგი ჰქმნიდა კაპიტალიზმის აუცილებელ სოციალურ პირობათა, როგორც, მაგალითად, ინგლისში ხალხის გაპროლეტარება პარლამენტის აქტების მთელის სერიითა. აგრეთვე გერმანიაში სახელმწიფო მუდამ სცდილობდა გაეერთიანებინა ეკონომიური ცხოვრება, საფრანგეთშიაც კოლბერტიზმი ამასვე ემსახურებოდა. ასე რომ, მხოლოდ ერის კოჰეზიის შექმნაში აქვს როლი კაპიტალიზმსა და სახელმწიფოს, ხოლო აბსურდი იქნება ვთქვათ, რომ ან ერთსა და ან მეორეს შეექმნას ერი, მისი კულტურული ერთობა,—ან ენა, ან სხვა რამ. ერი და ეროვნული კულტურა ვერც ფეოდალიზმით ამოიწურება, ვერც კაპიტალიზმით, ვერც სოციალიზმით. მათ ყველას აქვს გავლენა ეროვნულ ცხოვრებაზე, მაგრამ მისი შემქნელი ისინი არ არიან. პირიქით, ერის ორგანიულ განვითარებაში ხორციელდება კონკრეტულად ასეთი საზოგადოებრივი ფორმები. ასე რომ არ ყოფილიყოს, მაშინ თვით ეროვნული კოჰეზიაც ერის სხვა და სხვა ნაწილთა შორის კი არ მოხდებოდა და არ წარმოიშობოდა თანამედროვე მჭიდრო ეროვნული ორგანიზმი, არამედ ეს კოჰეზია შესაძლებელია მომხდარიყო ყოველგვარ სოციალურ ჯგუფთა შორის, განურჩევლად ეროვნებისა. ერთა ორგანიულ ცხოვრების ისტორია კი სულ სხვა არის, ამისი პირდაპირი წინააღმდეგი. B.

(შემდეგი იქნება)

*) სიამოვნებით წავიკითხე გ. ქიქოძის წერილები ამის შესახებ („დროება“, N 172 და სხვა.). ახალგაზრდა მწერალთა შორის შეიძლება გ. ქიქოძე ყველაზე უფრო კულტურული მწერალიც იყოს, და ჩვენს ცხოვრებაში ეს დიდად სახიხარულო მოვლენას მოასწავებს. B.

*) თუ ალექსანდრე მაკედონელისაგან საბერძნეთისა და მთელი ქვეყნის დაპყრობას ასეთ ცდად არ ჩავთვლით.

შემდეგი უამბნია „რეჩ“-ის თანამშრომლისთვის:

„ახალი წეს-წყობილება სპარსეთში, ჩემის ღრმა რწმენით, მკვიდრი გამოდგება. თეირანში ჯერ არა დროს არა ჰქონია ისეთი ძალა მთავრობას, როგორც ეხლა. ამას წინად სიკვდილით დასაჯეს მუშტეიდი შეიხ-ფაზლულა. სპარსეთის ისტორიაში ჯერ არა ყოფილა ესეთი მაგალითი: ჯერ არც ერთი სასულიერო პირი არ დაუსჯიათ სიკვდილით. მხოლოდ მძლავრ და ხალხის ნდობით მოსილ მთავრობას შეეძლო მუშტეიდის სიკვდილით დასჯა.

ამ ჟამად სპარსეთში ყველგან ამყარებენ წესიერებას. კაშკაის ხანი საულათ-დოვლე, რომელზედაც ხმა გაავრცელეს, ვითომ იგი თეირანზე მიდის ტახტიდან ჩამოგდებულ შაჰის საშველადო, ნამდვილად თითონ ამყარებს კონსტიტუციონურ წესებს თავის სახანოში და ყველაფერში ისე იქცევა, როგორც ნამდვილი კონსტიტუციონალისტი.

მართალია აქა-იქ კიდევ ხდება არეულობა, მაგრამ ეს არეულობა სერიოზული არაა. ადერბეიჯნის ხანებმა, მათ შორის მაქოს ხანმაც, დეპეშებით ერთგულება გამოუცხადეს ახალ მთავრობასა და წესწყობილებას.

მეჯლისის არჩევნებში გაცილებით მეტმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, სანამ ეს ნაამბობი იყო გაზეთებში. ამორჩეული დეპუტატები ნელ-ნელა იკრიბებიან თეირანში.

ამ ჟამად რუსეთის საელჩოსა და სპარსეთის მთავრობას შორის თეირანში გამართულია მოლაპარაკება ბევრ მეტად მნიშვნელოვან საგანზე. სპარსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ ყველა გარეშე სახელმწიფოსთან მეგობრობა შეინარჩუნოს, მაგრამ ამავე დროს იგი ყველაფერში კონსტიტუციის თანახმად იქცევა, რადგან კარგად ესმის, რომ პასუხი უნდა აგოს მეჯლისის წინაშე.

**საუბარი მამედ-ალისთან და საად-დოულესთან.**

ტახტიდან ჩამოგდებულ შაჰის ნახვა ბევრმა კორესპონდენტმა მოინდომა, მაგრამ მან ყველას უარი შეუთვალა. მამედ-ალის მხოლოდ ამ დღეებში მიუღია „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი და უსაუბრნია მასთან. გაუბედურებულს შაჰს უთქვამს სხვათა შორის.

„მე სალთან-აბადიდან რუსეთის საელჩოში იმიტომ გადავსახლდი, რომ მითხრეს: მაგით ტახტსაც შეინარჩუნებ, ხალხს დაამშვიდებ და სისხლის ღვრას მოსპობო. მინდოდა დაუყოვნებლივ შემესრულებინა ხალხის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ყველა მოთხოვნა, მაგრამ რუსის საელჩოში მე ტყვის მდგომარეობაში ჩავვარდი: გამომიცხადეს, ხალხი თანახმაა, რომ თქვენ ტახტიდან გადადგეთო. მე რომ გინდ ერთი დღე კიდევ დავრჩენილიყავი სალთან-აბადში, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდა“.

პირველ მინისტრად ნამყოფს საად-დოულეს უთქვამს იმავ კორესპონდენტისთვის: „რევოლიუციონერები რომ თეირანს მოუახლოვდნენ, მე მაშინვე შევადგინე ფირმანი, რომ ხალხის წარმომადგენელთა ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო; განზრახვა მქონდა თვით დამფუძნებელი კრება მომეწვია ძირითად კანონების შესამუშავებლად. ეს ამბავი შევატყობინე სეპეხდარსა და სარდალ-ასადს; ისინი დასთანხმდნენ ჩემს წინადადებას და სამხედრო მოქმედებაც შეაჩერეს. პირობისამებრ, მანიფესტი მეორე დღეს დილით უნდა გამოცხადებულიყო. ეგაა იმ ღამეს შაჰთან მოვიდა ინგლისის საელჩოს ორი წარმომადგენელი და მათთან საუბრის შემდეგ მამედ-ალიმ გადასწყვიტა რუსის საელჩოში გადასვლა და მართლაც გადასახლდა იქა, სწორედ იმ დროს როდესაც რევოლიუციონერებთან დროებითი ზავი შევკარით.

საად-დოვლეს აზრით, ორივე სახელმწიფო, ინგლისიც და რუსეთიც, გულწრფელად არ მოქმედებენ. მათ არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, როდესაც მე კონსტიტუციის აღდგენა მქონდა შაჰისგან მონდობილი. ინგლისი და რუსეთი ეხლაც უცნაურად იქცევიან და თითქო მუდამ რაღაცას ელიან. სპარსეთის ახალ მთავრობას არაფრის გარიგება არ შეუძლიან, რადგან მას არც ფული აქვს, არც მომზადებული კაცები ჰყავს, სახელმწიფოები-კი, არაფრით არ ეხმარებიან, თითქო მათ სასარგებლოდ მიაჩნდეთ, რომ სპარსეთში მუდამ არეულობა იყოს“.

# ოსმალეთის ამბები

**ოსმალეთის საგანგებო დესპანები.**

მომავალ სექტემბრის დამდეგს ლივადიაში (ყირიმში) რუსთ-ხელმწიფესთან მოვლენ ოსმალეთის საგანგებო დესპანები, გარეშე საქმეთა მინისტრის რიფაატ-ფაშის მეთაურობით. სულ რვა დესპანი იქნება; მათ შორის იქნებიან ორი დივიზიის უფროსი გენერალი და სულთანის პირველ ადიუტანტად ნამყოფი და ეხლანდელი სამხედრო აგენტი მაიორი რემზი-ბეი.

წინად დესპანთა მეთაურად აპირებდნენ გენერალისიმუს მახმუდ-შევკეთ-ფაშის დანიშვნას, მაგრამ იგი იმპერატორმა ვილჰელმა მოიწვია გერმანიის ჯარის ალლუმზე დასასწრებად. შევკეთ-ფაშა 7 აგვისტოს წავიდა გერმანიაში, ხოლო იქიდან წავა საფრანგეთში.

ოსმალეთის დესპანები იალტაში ჩამოხდებიან.

# რუსეთი

✦ **გერცენშტეინის მკვლელობა და ვოსტორგოვი.** „გოლ. მოსკ.“-ს თანამშრომელს ვოსტორგოვთან ულაპარაკნია. ლაპარაკის დროს შეჰხებიან გერცენშტეინის მკვლელობას. ამის შესახებ ვოსტორგოვს შემდეგი უთქვამს: პირველ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ პეტერბურგიდან მოსკოვში წავედი, სადაც მონარქისტების კრებას დავესწარი. რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან კრებაზე დასასწრებლად რამდენიმე მონარქისტი ჩამოვიდა. ეს უკანასკნელები პირველად ვნახე. სხვათა შორის, გადმომცეს, პეტერბურგიდან ჩამოსულები ლაპარაკობენ, რომ „კავშირი“ გერცენშტეინის მოკვლას ამზადებსო. მე ამას ყურადღება არ მივაქციე. მალე მემარჯვენეთა ერთ გაზეთში ამოვიკითხე გერცენშტეინის მოკვლის ამბავი. მე გამიკვირდა, რომ პეტერბურგელ მონარქისტების წინასწარმეტყველება ასრულდა. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს. ყველამ კარგად იცის, რომ ალმაცერად უყურებ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს. მე, სხვათა შორის, მთხოვეს საბჭოს თავმჯდომარეობა, მაგრამ უარი უთხარი. ეხლა, როგორც გავიგე, თავმჯდომარედ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ მარკოვ მეორეს იწვევს, არა უშავს-რა იმუშაოს პატარა ხანი! ზოგიერთები ტყუილა უბრალოდ ურევენ ერთმანეთში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მოსკოვის და პეტერბურგის ორგანიზაციებს. და სხვ.

✦ **კორვინ-მილევსკი.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე ხნის წინად სახელმწიფო საბჭოდან თავის ნებით გავიდა პოლონელი დეპუტატი კორვინ-მილევსკი. მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრებმა პროექტი შეიმუშავეს, რომლითაც დასავლეთ რუსეთის ცხრა გუბერნიიდან სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების არჩევნები ისე უნდა შეცვლილიყო, რომ 9 დეპუტატიდან ექვსი უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ვილნოში სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატად ისევ კორვინ-მილევსკი წამოუყენებიათ. ჯერ-ჯერობით არ ვიცით, თანახმაა ამისი კორვინ-მილევსკი თუ არა.

✦ **ნიკულევიჩის კანტორაზე თავდასხმა.** დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ 12 აგვისტოს სოფ. უსტიეში 5 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა ნიკულევიჩის კანტორას. ნიკულევიჩის კანტორა მდინარე სუხანას ნაპირზე აგებული. გაზეთი „ვოლ. ჟიზნი“ ასე აგვიწერს ამ ამბავს: 12 აგვისტოს ნიკულევიჩის კანტორას ხუთი კაცი დაეცა. ბოროტ-განმზრახველებმა შესვლისთანავე კანტორის მოსამსახურეებს უბრძანეს „ხელები მაღლაო“. მოსამსახურე პანოვი შეშინებული ფანჯრიდან გადახტომას აპირებდა, მაგრამ ბოროტ-განმზრახველებმა მოასწრეს და მუცელში მძიმედ დასჭრეს. პანოვი იქვე დაეცა გულშეწუხებული. პანოვის მაგალითს მიჰბაძა მეორე მოსამსახურე პენკინმა. პენკინმა გაქცევა მოასწრო, თუმცა ბოროტ-განმზრახველებმა დასჭრეს ისიც. სხვებმაც დააპირეს გაქცევა, მაგრამ ვეღარ მოასწრეს, ბოროტ-განმზრახველებმა გზები შეჰკრეს. პენკოვმა როგორც იყო მოასწრო გემ „ნიკოლოზ“-ზე მისვლა და იქ მყოფებს ყველაფერი გადასცა. მატროსები ხელად შეიარაღდნენ, ზოგმა კეტი აიღო, ზოგმა სანადირო თოფი, ზოგმა ცელი და გასწიეს კანტორისაკენ. მატროსების დანახვაზე, ბოროტ-განმზრახველებმა თავი მიანებეს კანტორას და მდინარე სუხონასკენ გასწიეს, სადაც მათ ნავები ჰქონდათ დამზადებული. მატროსები უკან დაედევნენ. ერთმა მატროსმა ბოროტ-განმზრახველებს სანადირო თოფი ესროლა და ერთი მათგანი დასჭრა. ბოროტ-განმზრახველებმა სროლითვე გასცეს პასუხი. მატროსები რაკი ვერას გახდნენ უკან დაბრუნდნენ. ბოროტ-განმზრახველები საჩქაროდ ჩახდნენ ნავში და სუხონას მეორე ნაპირისაკენ გაემგზავრნენ. უკან დაბრუნებულ მატროსებს გზაში ურიადნიკი და საეროზო დარაჯი შეხვდათ. ამ უკანასკნელებმა თან გაიყოლიეს მატროსები, ჩასხდნენ გემ „ნიკოლოზ“-ზე და გამოუდგნენ ბოროტ-განმზრახველებს. მალე დაეწივნენ ბოროტ-განმზრახველებს. ბოროტ-განმზრახველებსა და გემ „ნიკოლოოზ“-ს შორის ნამდვილი ომი გაიმართა. ბოროტ-განმზრახველებმა მოასწრეს და კუნძულს შეაფარეს თავი. ურიადნიკი დარაჯით და მატროსებით არ ჩამორჩა ბოროტ-განმზრახველებს და შემდეგ კუნძულზე გადავიდა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ბოროტ-განმზრახველები დაჰნებდნენ ურიადნიკს. პოლიციას დაჰნებდა მხოლოდ სამი კაცი, დანარჩენი ორი მოკლული აღმოჩნდა. ბოროტ-განმზრახველებს წაეღოთ 850 მანეთი, მაგრამ კანტორას 50 მანეთი დაუბრუნეს, დანარჩენი არ იციან სად არის. ბოროტ-განმზრახველებს ათასი პატრონა ჰქონოდათ თან და სულ დაეხარჯათ.

# უცხოეთი

**ინგლისელ ტრედ-უნიონების კონგრესი.**

ამ დღეებში ისპვიჩში, დეპუტატთა პალატის წევრის შეკლტონის თავმჯდომარეობით გაიხსნება მორიგი კონგრესი ტრედ-უნიონებისა, რომელზედაც მოვლიან 490 დელეგატს— 1,700,000 შეკავშირებულ მუშის წარმომადგენელს. კონგრესში წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას სოფლის მუშათა ტრედ-უნიონიც.

კონგრესის ბიუროს უკვე მოუვიდა 100-ზე მეტის რეზოლიუციის პროექტი. მათი მომეტებული ნაწილი შეეხება უმუშევართა საკითხს. ეს საკითხი დღემდე დიდს უკმაყოფილებას იწვევს შეკავშირებულ მუშათა მორის. კონგრესის ბიუროში წარდგენილია სხვათა შორის რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს მთავრობას იმისთვის, რომ მან საკმაოდ კარგად ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი, და მოითხოვს, რომ სახელმწიფომ მუდამ დიდი საზოგადო საქმეები დაიწყოს და ამით სამუშაო გაუჩინოს უმუშევრებსაო. ერთი რეზოლიუცია მოითხოვს შრომის სამინისტროს დაარსებას და რომ ამ ახალ სამინისტროს დაევალოს შრომის მფარველობაო.

სოციალ ეკონომიურ საკითხების გარდა, კონგრესი კანიხილავს საზოგადო —პოლიტიკურ საკითხებსაც, როგორიცაა, მაგალითად, საარჩევნო რეფორმა, სამხედრო ბეგარა და სხვა...

**ჩინეთისა და იაპონიის შეთანხმება.**

ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ ჩინეთსა და იაპონიამ შეთანხმებით გაათავეს თავიანთი ხანგრძლივი დავა. მათ ექვსი სადავო საგანი ჰქონდათ და ბოლოს დროს ეს დავა ისე გამწვავდა, რომ საქმე კინაღამ დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტით არ დასრულდა. მუდამ დავი დარაბასა და უთანხმოებას ჩინეთმა და იაპონიამ ისევ მოიგება აირჩიეს, და საქმე ისე გაათავეს, რომ არც ერთს მათგანს ზარალი არა ჰქონდეს; ზოგს საქმეში იაპონიამ დაუთმო ჩინეთს, ზოგში ჩინეთმა იაპონიას და ხანგრძლივი დავა შემდეგის შეთანხმებით დაამთავრეს:

იაპონიამ სცნა, რომ ნახევარ კუნძული ჩიენ-ტაო მდინარე ტუმენზე, კორეის საზღვარზე, შეადგენს ჩინეთის სამფლობელოს, იქაური მცხოვრებლები მიიღებენ ჩინეთის ქვეშევრდომობას და დაემორჩილებიან ჩინეთის სასამართლოებს იმ შემთხვევებს გარდა, როდესაც სასამართლო ვისმე სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტს: ერთი განაჩენი უნდა დაამტკიცოს ხოლმე იაპონიის მთავრობამ.—ფაკუმინის რკინის გზის საქმეში ჩინეთმა დაუთმო იაპონიას: ჩინეთი შოგალდეს, ფაკუმინიის რკინის გზის ახლო, ან მის გასწვრივ სხვა რკინის გზა არ გაიყვანოს.—დავა ფუშუნისა და იანტიის ქვა-ნახშირის მადნებზე ამნაირად გადასწყვიტეს: ეს ადგილები შეადგენენ ჩინეთის საკუთრებას, ხოლო იაპონიის მფლობელობაში იქნებიან.—ანდუნ-მუკდენის რკინის გზაზე დავაც შეთანხმებით გათავდა. სხვათა შორის მუკდენში გზას ორი სადგური ექნება: ერთი მათგანი ჩინელების ხელში იქნება, მეორე იაპონელებისაში.—ნიუჩუანის რკინის გზის საქმეში ჩინეთმა დაუთმო იაპონიას: იაპონიას უფლება მიეცა ამ გზის ახლო მეორე გზა გაიყვანოს, დაშიჩაოდან,

**რუსეთისა და იაპონიის სამხედრო პირობა.**

პარიზში კიდევ მიუღიათ ცნობა, რომ ჩინეთმა და იაპონიამ სამხედრო პირობა შეკრესო. ამ პირობის ძალით ჩინეთმა და იაპონიამ ერთმანეთს უნდა უშველონ, თუ რომელსამე მათგანს გარეშე სახელმწიფო დაეცემა.

გერმანული გაზეთები სწერენ, რომ ამ სამხედრო პირობას დიდი მნიშვნელობა ექნება, იგი ხელს შეუშლის რუსეთის მოქმედებას შორეულ აღმოსავლეთშიო.

**ჩინეთი და რუსეთი**

ჩინეთის მთავრობა 150 მილიონ ფრანკს იღებს სესხად სანკოუ-კანტონის რკინის გზის გასაყვანად. ეს ფული ჩინეთმა, წინადვე დადებულ პირობის ძალით, თანასწორად უნდა ისესხოს ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და შეერთებულ შტატების ფინანსისტებისგან. რუსეთმა სთხოვა ჩინეთის მთავრობას, რუსის ფინანსისტებსაც მიეცით უფლება მონაწილეობა მიიღონ მაგ სესხშიო, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ უარ-ჰყო რუსეთის თხოვნა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით პასუხი გავცე ბ-ნ ყორანს, რომელიც თავის კორესპონდენციაში, 15 აგვისტოს ნომერში, სურამში გამართულ კონცერტის შესახებ სხვებთან ერთად ჩემ სახელსაც იხსენიებს. ბ-ნ ყორანს რომ სცოდნოდა საანბანო ჭეშმარიტება—„ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო“, ან „კაცის გალანძღვა ადვილია, მხოლოდ იმის სახელისაგან მერე ჩირქის მოწმენდა ძნელიაო“, შეიძლება ამ კორესპონდენციისათვის თავი ძიენებებინა. მაგრამ მას არც პირველისათვის და არც მეორესათვის არ მიუქცევია ყურადღება და არ გაუგია, რაში მდგომარეობს საქმე: კონცერტის ერთი კვირის წინად კერძოდ მიმიწვია ქ-ნმა თ. ძნელაძემ, მაგრამ მე გადაჭრილი უარი განვაცხადე, რადგან დრო არა მქონდა. შემდეგ კი, როდესაც რამდენჯერმე მთხოვეს, გადავწყვიტე დამეკარგა ეს დრო და წავსულიყავ სურამში. ჩემი გასამრჯელო (20 მან.) თითონვე შემაძლიეს. მართალია, გასამრჯელო ავიღე, წარმოიდგინეთ, რომ წელს ოცზე მეტი საქველ-მოქმედო კონცერტი და წარმოდგენა გაიმართა. სადაც მიმიწვიეს, როგორც აკომპანიატორი, მაგრამ უდროობისა გამო მეტ ნაწილს უარი უთხარი, თუმცა ფული უფრო მეტი მაძლიეს, ვიდრე სურამში და მადლობელნიც იქნებოდნენ, ვიდრე სურამელები. საღამოს გამგეებს არაფერი უთქვამთ ჩემთვის სიძვირის შესახებ. რაც შეეხება იმას, რომ მე სპეციალისტი არა ვარ, სწორედ მიკვირს, რა საჭირო იყო ამისი მოხსენება გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ, უკაცრავად, ბ-ნ ყორანს ეს დასჭირდა, რასაკვირველია, კაცის სახელის ჩირქის მოსაცხებად, და, რა გასაკვირია, რომ ბ-ნ ყორანის **აზრით** და არა სხვების, არა სპეციალისტებმა არ უნდა აიღონ გასამრჯელო. ან და ერთი მიჩვენოს ბ-ნმა ყორანმა მხოლოდ ათიოდე ქართველი ნამდვილი სპეციალისტი. მეორეც—სანამ მე საჭირო ვიყავი კონცერტისათვის, მანამდის არ უფიქრიათ სპეციალისტებზე. განა ბატონი ყორანი კი სპეციალისტია კორესპონდენტების წერაში? რაც შეეხება ჩემ მატერიალურ მდგომარეობას, ამაზე არაფერს ვიტყვი, მხოლოდ მოვიხსენიებ, რომ კაცს თუ არ უჭირდეს, მთელი ზაფხული არ შეაკლავდა თავს ტფილისის სიცხეს, როდესაც მას სახელმწიფო ეგზამენები აქვს ჩასაბარებელი. მერე, კადნიერებაა, ჩემის აზრით, როდესაც კაცს სრულებით არ იცნობ, არ იცი მისი მატერიალური მდგომარეობა და სჯა-ბაასობ კი.

სტუდენტი **ა. ფალიაშვილი.**


**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ.ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—155)

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში· ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტანდილთან სახ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%.
(25—393—12)

**ტ. მ. ფილოიანის**
**საკომერციო ცოდნის კურსებზე**
(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—5)

**საბუხჰალტრო კლასები**
**ი. ფონ-ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაპერეკნის ქ. ვერის ხიდთან.
სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე.
(15—ბ.—14)

1882 г. 1896 г.
ФАБРИЧНО-ТОРГОВОЕ ТОВАРИЩЕСТВО
**А. И. Абрикосова С-вей.**
**ФАБРИКИ: Москва и Симферополь.**
**Розничные магазины въ Москвѣ:**
1. Кузнецкій мостъ, пасс. Солодовникова.
2. Тверская, д. Полякова, ряд. съд Ген.-Губерн.
3. У Ильинск. вор., Луб.-Ильин Торг. Пом.
4. Верхніе Торговые ряды.

*Оптовый магазинъ и контора:*
**МОСКВА, Лубянскій проѣздъ, домъ Политехническаго Музея.**

ОТДѢЛЕНІЯ:
**С.-ПЕТЕРБУРГЪ, ОДЕССА, КІЕВЪ.**

**ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.**

Въ виду появленія въ Москвѣ кондитерскаго магазина подъ фирмою, близкой по наименованію къ нашей, просимъ гг. покупателей, во избѣжаніе недоразумѣній, обращать вниманіе на отличительные признаки нашего Т-ва, всѣ этикеты коего снабжены изображеніями
**ГЕРБА ПОСТАВЩИКОВЪ Двора Его Императорскаго Величества и двухъ государственныхъ гербовъ.**

ОТДѢЛЕНІЙ И МАГАЗИНОВЪ **Т-ва А. И. АБРИКОСОВА С-вей**,
КРОМѢ ПЕРЕЧИСЛЕННЫХЪ,
**БОЛЬШЕ НИГДѢ НѢТЪ.**
Просимъ обращать вниманіе на иниціалы: **А. И.**

А·И·

(Метцль и Ко N 18499) (4—6.—4)

**!!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!!**

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

**СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ**

✦✦ SPERMINUM POEHL ✦✦

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია **პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოტერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი, მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის** (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაჩანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

**ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.**

**სპერმინ-პელისა** იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასხურებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები, ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი**
◀ **პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა** ▶
პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Pris) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(5—მეტ.—5) 78775.—Л. и Э. Метцль и Ко.


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.